სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 28

2019 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N296820, 12.03.2019) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსი;
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის (შემდგომში კონკურსი) პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის კრებსითი ინფორმაციის ფორმა პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს კონკურსის ცნობა თანადაფინანსების შესახებ ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსის პროფესიული ბიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს კვლევის შედეგების ამსახველი მასალა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
10. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის პირობები

1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) კონკურსის მიზნებია:

ა) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე დარგობრივი და ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე;

ბ) საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში (ქვეყნის ისტორიის, კულტურის, სულიერი და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, დამწერლობის, ენისა და ლიტერატურის, არქეოლოგიისა და ხელოვნების, რელიგიის, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური ტრანსფორმაციის მიმართულებით) მოღვაწე მეცნიერთა, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პოტენციალის განვითარება, მათი ჩართვა ევროპული უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევით და აკადემიურ პროცესებში და შესაბამისი თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება საერთაშორისო აკადემიურ ქსელში;

გ) საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის შემსწავლელი თანამედროვე კვლევების მეშვეობით ევროპულ აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში კოლაბორაციული კონტაქტებისა, სამეცნიერო-კვლევითი კონსორციუმების, მრავალმხრივი, მდგრადი საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

2. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №89/ნ ბრძანების, წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესებისა და ფონდის, მასპინძელი დაწესებულებებისა (ევროპული უნივერსიტეტები) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

3. საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება პროექტები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით, რომელთაც ფონდის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორის შესაბამისად მიენიჭათ შემდეგი კოდები:

7.5. სოციალური მეცნიერებები:
7.5.1. ფსიქოლოგია;
7.5.2. ეკონომიკა და ბიზნესი;
7.5.3. განათლების მეცნიერებანი;
7.5.4. სოციოლოგია;
7.5.5. სამართალი;
7.5.6. პოლიტიკური მეცნიერებანი;
7.5.7. სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფია;

7.5.8. მედია და კომუნიკაცია;
7.5.9. სხვა სოციალური მეცნიერებანი.

7.6. ჰუმანიტარული მეცნიერებები:
7.6.1. ისტორია და არქეოლოგია;
7.6.2. ენები და ლიტერატურა;
7.6.3. ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია;
7.6.4. ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა);
7.6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა და ევროპულ უნივერსიტეტებში კვლევითი ვიზიტისათვის გრანტის მიღება შეუძლიათ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერის მქონე საქართველოს მოქალაქე პირებს მიწვეული მკვლევრის ან ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსით, კერძოდ:

ა) **მიწვეული მკვლევარი** შეიძლება იყოს დოქტორანტურის სტუდენტი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფიზიკური პირი;

ბ) **ახალგაზრდა მეცნიერი** შეიძლება იყოს დოქტორანტურის სტუდენტი, დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომლის ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 12 წლისა.

2. პროექტს უნდა ჰყავდეს **მასპინძელი დაწესებულება**, რომლის ბაზაზეც მიწვეული მკვლევარი ან ახალგაზრდა მეცნიერი განახორციელებს კვლევით და აკადემიურ საქმიანობას. 2019 წლის კონკურსისათვის მასპინძელი დაწესებულება შეიძლება იყოს:

- ბრემენის უნივერსიტეტი / University of Bremen (გერმანია);
- ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტი / Friedrich-Schiller-Universität Jena (გერმანია);
- იოტოვოშ ლორანდის უნივერსიტეტი / Eötvös Loránd University (უნგრეთი);
- ლაიდენის უნივერსიტეტი / Leiden University (ნიდერლანდების სამეფო).

3. მიწვეულ მკვლევარს/ახალგაზრდა მეცნიერს მასპინძელ დაწესებულებაში ექნება კონკრეტულ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებული შესაძლებლობები.

4. კონკურსში მონაწილეს შეუძლია მხოლოდ ერთი საკონკურსო განაცხადის დარეგისტრირება.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს მაქსიმუმ 10 თვე (მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ 2 სასწავლო სემესტრი).

2. პროექტის ხანგრძლივობა, ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება და პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯვითი კატეგორიები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ სქემას:

პროექტის ხანგრძლივობა	**ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება** (ევროს ექვივალენტი ლარში)		
	სტიპენდია	**ადმინისტრაციული ხარჯი**	**პროექტის ბიუჯეტი (ჯამი)**
6 თვემდე (ერთი სასწავლო სემესტრი)	10 000 ევრო	5 000 ევრო	15 000 ევრო
10 თვემდე (ორი სასწავლო სემესტრი)	20 000 ევრო	10 000 ევრო	30 000 ევრო

3. სტიპენდია ითვალისწინებს: ორმხრივი მგზავრობის ხარჯების (დანიშნულების ადგილამდე ორმხრივი მგზავრობა), სავიზო მოსაკრებელის, სავიზო მომსახურების ცენტრის მომსახურების ხარჯებს, შესაბამისი საკონსულოს საქართველოში არ ყოფნის შემთხვევაში, დოკუმენტაციის საზღვარგარეთ გაგზავნასთან და მიღებასთან დაკავშირებულ აუცილებელი ხარჯების, სამოგზაურო და ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯის, ადგილობრივი მგზავრობის ხარჯის (საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარჯების), პროექტის განხორციელების განმავლობაში საცხოვრებლის (ბინის, საერთო საცხოვრებლის ხარჯის), საკვებისა და საგანმანათლებლო ლიტერატურის შეძენის ხარჯის ანაზღაურებას.

4. სტიპენდიის ფარგლებში შემოთავაზებული კვლევის შედეგები ასახული უნდა იყოს საპროექტო წინადადებაში და შეესაბამებოდეს დანართ №7-ში განსაზღვრულ შედეგებს. რეკომენდებულია, პროექტი ითვალისწინებდეს კვლევის მასალებზე დაყრდნობით მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემაში.

5. ადმინისტრაციული ხარჯი მოხმარდება გრანტის მიმღებისათვის მასპინძელ უნივერსიტეტში კვლევითი და საგანმანათლებლო რესურსებსა და სხვა საუნივერსიტეტო მომსახურებებზე წვდომას.

6. პროექტს შესაძლოა ჰქონდეს თანადაფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ფონდიდან მოთხოვნილ საგრანტო დაფინანსებასთან ერთად არის პროექტის საერთო ბიუჯეტის შემადგენელი. თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული გრანტი.

7. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის მიწვეულმა მკვლევარმა/ახალგაზრდა მეცნიერმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი **ქართული და ინგლისურენოვანი დოკუმენტებისგან:**

ა) **კრებსითი ინფორმაცია** (ივსება GMUS-ში, ნიმუში - დანართი №2,);

ბ) **საპროექტო წინადადება** (დანართი №3);

გ) **მხარდაჭერის წერილი** ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე დამოწმებული რექტორის ხელმოწერით;

დ) **წინასწარი მიღების წერილი** მასპინძელი უნივერსიტეტიდან ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე (კვლევითი ვიზიტის დაწყების თარიღისა და ხანგრძლივობის მითითებით). წერილის ქართული თარგმანი დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ე) **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს დამფინანსებელი ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე, ან დანართი №4-ის ფორმით, დამოწმებული თანადამფინანსებელი იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა. თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ვ) მიწვეული მკვლევრის/ახალგაზრდა მეცნიერის **პროფესიული ბიოგრაფია (CV)** – კონკურსში მონაწილე მკვლევარი/ახალგაზრდა მეცნიერი უნდა დარეგისტრირდეს GMUS-ში, შექმნას „მეცნიერის პროფილი“, რომლიდანაც დაგენერირდება CV, ექსპორტირდება და აიტვირთება PDF დოკუმენტის სახით პროექტის წარდგენისას (ნიმუში - დანართი №5);

ზ) **ინგლისური ან/და მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი** (სერტიფიკატი, ან ცნობა წარმდგენი უნივერსიტეტიდან);

თ) მიწვეული მკვლევარის/ახალგაზრდა მეცნიერის **აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები**: დიპლომი, სერტიფიკატი ან/და ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ. თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა დაერთოს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) **„განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“** (დანართი №6, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერით;

ბ) **თანადაფინანსების ცნობის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა დაერთოს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება სტიპენდია და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხის მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

5. პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე, ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობასა და თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია მიწვეული მკვლევრის/ახალგაზრდა მეცნიერი.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) ელექტრონული რეგისტრაცია – 2019 წლის 20 მარტიდან - 22 აპრილის 16:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2019 წლის 23 აპრილის 16:00 საათამდე.

2. **ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) კონკურსში მონაწილის რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და განათლების ველში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“-ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხის/სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების ატვირთვა.

ბ) პროექტის რეგისტრაცია ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსზე, კრებსითი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა. (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა-ზ“ ქვეპუნქტები).

3. **ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპზე საჭიროა** კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენა ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი

აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ეტაპები:
   ა) კონკურსის გამოცხადება;
   ბ) პროექტების ფონდში წარდგენა;
   გ) პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა;
   დ) პროექტების შეფასება კომისიის მიერ;
   ე) კომისიის მიერ შეფასების საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცება;
   ვ) გრანტის მიმღებ პირებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

2. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, რომლის ფარგლებში:

ა) კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ-თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების კონკურსის მიზნებთან შეუსაბამოდ წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად;

ბ) ფონდი უფლებამოსილია, საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, წარმოდგენილია არასრულად ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის დებულების მე-10, მე-11 და მე-12 მუხლებით დადგენილი წესებით და კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით.

2. პროექტებს აფასებს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისია, ფონდისა და მასპინძელი დაწესებულებების ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც განიხილავს კონკურსზე წარმოდგენილ განაცხადებს და გამოავლენს გამარჯვებულ პროექტებს.

3. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს კომისიის შემადგენლობას.

4. საკონკურსო კომისიის მიერ პროექტი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	**შეფასება**
კვლევითი პროექტი	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 5 ქულა
აპლიკანტის კომპეტენცია	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 5 ქულა
ინტერვიუ აპლიკანტთან	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 5 ქულა
ჯამური ქულა	მინიმუმ 3 მაქსიმუმ 15 ქულა

5. საკონკურსო კომისია შეფასებას ახორციელებს 5-ქულიანი სისტემით (1-5), სადაც ქულები განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	შეფასება
5	საუკეთესო
4	ძალიან კარგი
3	კარგი
2	დამაკმაყოფილებელი
1	სუსტი

6. საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულ პროექტებს ამტკიცებს ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს გრანტის მიმღებებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

3. საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხას ფონდი გადაურიცხავს გრანტის მიმღებსა და მასპინძელ დაწესებულებას ავანსის სახით.

4. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტიპენდია გადაირიცხება გრანტის მიმღების მიზნობრივ ანგარიშზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

5. ადმინისტრაციული ხარჯების ტრანში მასპინძელ დაწესებულებას გადაერიცხება ინვოისის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

6. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ფონდი გადარიცხავს ტრანშს თანადაფინანსების თანხის საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

მუხლი 9. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია კვლევითი ვიზიტის დასრულების და საქართველოში დაბრუნების შემდგომ 30 დღის ვადაში ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობების დოკუმენტირებული ანგარიში ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

2. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის დებულების მე-14 მუხლით განსაზღვრული წესების დაცვით, რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ საბოლოო ანგარიშებს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

3. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:
   ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. პროექტის განხორციელების ადმინისტრაციულ ხარჯის მონიტორინგს ფონდი არ ახორციელებს.

ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს საკონტაქტო პირის ხელმოწერით. ფონდი უფლებამოსილია პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

4. ფონდი არ არის ვალდებული განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე მონიტორინგი, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.

5. გრანტის მიმღები ვალდებულია ფონდში წარმოადგინოს ორმხრივი მგზავრობის (საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო ტრანსპორტი დანიშნულების ადგილამდე) დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. გრანტის მიმღების სტიპენდია ჩაითვლება ფაქტობრივ ხარჯად მასპინძელ დაწესებულებაში ფაქტობრივად ყოფნის პერიოდის პროპორციულად. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში ფაქტობრივად ყოფნის პერიოდი შეადგენს არასრულ თვეს, გრანტის მიმღებს ფაქტობრივ ხარჯად ჩაეთვლება სრული თვის სტიპენდია.

7. ვიზიტის დასრულების შემდეგ გრანტის მიმღები ვალდებულია სხვაობა გადარიცხულ სტიპენდიასა და მიზნობრივად ჩათვლილ ხარჯს შორის დააბრუნოს გრანტის გამცემის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

8. იმ შემთხვევაში, თუ საკონტაქტო პირის მიერ დამოწმებულ ანგარიშის ფორმაში მითითებული თარიღები შეუსაბამობაში იქნება ორმხრივი მგზავრობის დამადასტურებელ დოკუმენტთან, ფონდი უფლებამოსილი იქნება გრანტის მიმღებს მოთხოვოს დამატებითი დოკუმენტი.

9. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შემოწმების საფუძველზე მომზადებული განხილვის აქტები ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ მომავალ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

10. ფონდი უფლებამოსილია, აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის დებულების მე-15 მუხლით განსაზღვრული წესებით და საგრანტო ხელშეკრულებით.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

2. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა "შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით".

3. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.

4. გრანტის მიმღები ვალდებულია კვლევითი პროგრამის დასრულებიდან და საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩაატაროს პრეზენტაცია პროგრამის ფარგლებში შესრულებული ამოცანების და მიღებული შედეგების შესახებ.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ
Cover page

ზოგადი ინფორმაცია
General Information

1	პროექტის სახელწოდება ქართულად	
	Project title in English	
2	კვლევითი ვიზიტის დაწყების თარიღი	
	Start date of the research visit	
3	პროექტის ხანგრძლივობა (სემესტრი)	□ 1 □ 2
	Project duration (semester)	
4	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ევრო)	□ 15 000 □ 30 000
	Requested funding from SRNSFG (Euro)	
5	თანადაფინანსების თანხა (ევრო) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
	Co-funding (Euro) (if applicable)	
6	პროექტის საერთო ბიუჯეტი (ევრო)	
	Total budget (Euro)	
7	ვიზიტიორი მკვლევარი (სახელი, გვარი)	
	Visiting scholar (Name, Surname)	
8	მასპინძელი დაწესებულება	□ ბრემენის უნივერსიტეტი □ იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი □ იოტოვოშ ლორანდის უნივერსიტეტი □ ლაიდენის უნივერსიტეტი
	Host Institution	□ University of Bremen □ Friedrich-Schiller-Universität Jena □ Eötvös Loránd University □ Leiden University
9	საპროექტო წინადადება	PDF ფაილის ატვირთვა
	Project proposal	PDF file upload

სამეცნიერო მიმართულებები / Scientific field		
10	პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება Scientific field	
11	სამეცნიერო ქვემიმართულება Sub-field	

12	საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს 5 სიტყვისა)	
	keywords (no more than 5 words)	

ორგანიზაცია
Organization

ინფორმაცია წარმდგენი უნივერსიტეტის შესახებ / Information about the sending university		
1	წარმდგენი უნივერსიტეტის სახელწოდება	
	Name of the sending university	
2	მხარდაჭერის წერილი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of support from Ivane Javakhishvili Tbilisi State University	PDF file upload

ინფორმაცია მასპინძელი დაწესებულების შესახებ / Information about the host institution		
3	მასპინძელი დაწესებულება	
	Host institution	
4	კვლევითი ვიზიტის მასპინძელი სტრუქტურული ერთეულის დასახელება (ინსტიტუტი, ცენტრი, დეპარტამენტი, სკოლა, ფაკულტეტი და ა.შ.)	
	Name of the host unit (institution, center, department, faculty etc.)	
5	კვლევითი ვიზიტის მასპინძელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	
	Head of the host unit (Name, Surname)	
6	კვლევითი ვიზიტის მასპინძელი სტრუქტურული ერთეულის ვებგვერდი	
	Webpage of the host unit	
7	მისამართი	
	Address	
8	წინასწარი მიღების წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Pre-acceptance letter	PDF file upload

ინფორმაცია თანადამფინანსებლის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information about co-funding legal/natural person (if applicable)		
9	თანადამფინანსებელი იურიდიული პირის სახელწოდება	
	Co-funding legal person	
10	მისამართი	
	Address	

11	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	
12	ვებგვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
	Web page (if applicable)	
13	ცნობა თანადაფინანსების შესახებ	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of co-funding commitment	PDF file upload
14	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
	Co-funding natural person (Name, Surname)	
15	ელექტრონული ფოსტა	
	E-mail	
16	ტელეფონი	
	Telephone	
17	ცნობა თანადაფინანსების შესახებ	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of co-funding commitment	PDF file upload

ვიზიტიორი მკვლევარი
Visiting Scholar

ინფორმაცია ვიზიტიორი მკვლევრის შესახებ / Information about the visiting scholar		
1	პირადი ნომერი	
	ID number	
2	სახელი, გვარი	
	Name, Surname	
3	სქესი (მდედრ. მამრ.)	
	Sex (male, female)	
4	დაბადების თარიღი	
	Date of birth	
5	აკადემიური ხარისხი/სტატუსი	
	Academic Degree/status	
6	ელექტრონული ფოსტა	
	E-mail	
7	ტელეფონი	
	Telephone	
8	პროფესიული ბიოგრაფია (CV)	PDF ფაილის ატვირთვა
	CV	PDF file upload
9	ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი	PDF ფაილის ატვირთვა
	Language certificate	PDF file upload

დანართი №3

დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 13 მარტის N28 ბრძანებით

„საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“
ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსი

საპროექტო წინადადება

რეკომენდებულია: საპროექტო წინადადების მაქსიმალური საერთო მოცულობა - 2000 სიტყვა ცხრილების, დიაგრამების, ნახაზებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიის ჩათვლით; გვერდის ველები: მინიმუმ 1,5 სმ - მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ; მწკრივების ინტერვალი - მინიმუმ 1, შრიფტი: Sylfaen; ზომა: 10.

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება	
პროექტის ხანგძლივობა	
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ევრო)	
თანადაფინანსება (ევრო) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ევრო)	
ვიზიტიორი მკვლევარი (სახელი, გვარი)	
ვიზიტიორი მკვლევრის აკადემიური ხარისხი/სტატუსი	
მასპინძელი დაწესებულება	

აბსტრაქტი

(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 250 სიტყვა.)

1. შემოთავაზებული კვლევა

(წარმოადგინეთ კვლევის თემა/საკითხი, არსებული ცოდნის მიმოხილვა, პრობლემის ფორმულირება, კვლევის სიახლის დასაბუთება. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 500 სიტყვა)

2. კვლევის მიზნები და ამოცანები

(წარმოადგინეთ კვლევის მიზნები და ამოცანები შესაბამისი არგუმენტაციით. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 250 სიტყვა)

3. კვლევის მეთოდოლოგია

(წარმოადგინეთ კვლევის დიზაინი, მიდგომა, გამოყენებული კვლების მეთოდები დასაბუთებით, მეთოდებთან დაკავშირებული შეზღუდვები/ლიმიტები და უპირატესობები. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 500 სიტყვა)

4. კვლევის მოსალოდნელი შედეგები და გავლენა

(დაასაბუთეთ, რა გამოწვევების გადაჭრაზეა ორიენტირებული კვლევითი პროექტი, კვლევის შედეგების მნიშვნელობა ქვეყნისთვის; მიღწეული შედეგების დისემინაციის გეგმა. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 250 სიტყვა)

5. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

(შეავსეთ ცხრილი, დაამატეთ ან წაშალეთ მწკრივები საჭიროებისამებრ)

№	აქტივობის შესრულების სემესტრი	დაგეგმილი აქტივობები	კვლევის შედეგის ამსახველი მასალა[1]

[1] კვლევის შედეგის ამსახველი მასალა შეარჩიეთ დანართი №7-დან, სხვა შედეგის არჩევის შემთხვევაში, გთხოვთ, განმარტოთ.

Annex №3

Call for joint research programme in Georgian Studies

Project proposal

Recommended length of the proposal: 2000 words in total, including formulas, timetables, diagrams, illustrations and references; page margins: left, right, top and down – minimum 1.5 cm; line spacing – minimum 1, font - Sylfaen, font size 10.

General information about the project

Project title	
Project duration	
Funding required from the SRNSFG (Euro)	
Co-funding (Euro) (if applicable)	
Total budget of the project (Euro)	
Visiting scholar (Name, Surname)	
Academic degree/status of the visiting scholar	
Host institution	

Abstract

(Recommended word count – 250 words)

1. Proposed research

(Please provide research topic, background/state of art, problem formulation and novelty of the of the proposed research. Recommended word count - 500 words)

2. Research aims and objectives

(Please provide aims and objectives of the research with argumentation. Recommended word count – 250 words)

3. Research methodology

(Please provide research design, approach, research methodology with justification; limitations and advantages of the research methods. Recommended word count – 500 words)

4. Expected outcomes and impact of the project

(Please describe and justify the challenges of the project, importance of the research outcomes for the country, region and the world and its potential impact on the field and broad society; dissemination plan for outcomes. Recommended word count – 250 words)

5. Project implementation timeframe

(Fill columns, add or delete rows if needed)

№	Semester	Task	Deliverable[1]

1 Deliverables should be selected from the list provided in the annex 7, in case of selecting "other results", please, specify.

დანართი №4
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 13 მარტის N28 ბრძანებით

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსი

ინფორმაცია პროექტის შესახებ	
პროექტის სათაური	
ვიზიტიორი მკვლევარი (სახელი, გვარი)	
მასპინძელი დაწესებულების სახელწოდება	

ცნობა თანადაფინანსების შესახებ

თანადამფინანსებელი იურიდიული/ ფიზიკური პირი	საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი	დაფინანსების პერიოდი	თანადაფინანსების თანხა ლარში	თანადაფინანსების თანხა უცხოურ ვალუტაში

(გთხოვთ, მიუთითოთ თანადაფინანსების მიზნობრიობა)

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ორგანიზაციის ბეჭედი:

თარიღი:

Call for joint research programme in Georgian Studies

Information about the project	
Project Tittle	
Visiting Scholar (Name, Surname)	
Host institution	

Letter of Co-funding Commitment

Co-funding legal / natural person	ID code/ ID number	Funding period	Co-funding Sum (GEL)	Co-funding Sum (foreign currency)

(Please, provide purpose of the co-funding)

Signature of the authorized person:

Organization stamp:

Date:

დანართი 5

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System) მეცნიერის რეგისტრაციის დროს

პირადი ინფორმაცია

პირადი ნომერი:

სრული სახელი:

სქესი:

დაბადების თარიღი:

მოქალაქეობა:

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ.ფოსტა:

მობილურის ნომერი:

ქვეყანა:

ქალაქი:

მისამართი:

ენები

ენა	წერა	კითხვა	მეტყველება

განათლება

უმაღლესი აკადემიური ხარისხი/სტატუსი

აკადემიური ხარისხი/სტატუსი:

მინიჭების თარიღი:

მიღებული განათლება

აკადემიური ხარისხი/ სტატუსი	დაწესებულების დასახელება	ქვეყანა	სპეციალობა	დაწყების წელი	დასრულების წელი

ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	დაწყების წელი	დასრულების წელი

პროექტები

მიმდინარე პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დონორი

დასრულებული პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დონორი

სამეცნიერო მიმართულებები

ძირითადი მიმართულებები

მიმართულება:

ქვე-მიმართულება:

კატეგორია:

დასაქმების ისტორია

მიმდინარე სამუშაო ადგილ(ებ)ი

სამუშაო ადგილი	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი

სამეცნიერო პროდუქტიულობა

პატენტები

დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სხვა პროდუქტები

პროდუქტის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სტატია / მონოგრაფია / სახელმძღვანელო

ტიპი	ავტორ(ებ)ი	სათაური	ჟურნალი	წელი

სტიპენდიები და ჯილდოები

სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი	მიღების წელი

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

სამეცნიერო ფორუმის დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი	წელი

პროდუქტიულობის მაჩვენებელი

#	ციტირების ინდექსი	h-ინდექსი
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

Personal information

ID Number:

Full name:

Gender:

Date of birth:

Citizenship:

Contact Details

Email address:

Call number:

Country:

City:

Address:.

Languages

Language	Writing	Reading	Speaking

Education

Academic degree

Academic Degree:

Year obtained:

Education

Academic Degree	Name of the Institution	Country	Major discipline	Start year	End year

Trainings / Seminars / Training courses

Training / Seminar / The theme of the course	Organization name	Start year	End year

Projects

Ongoing projects

Project title	Position	Project head	Start Date	Donor

Completed projects

Project title	Position	Project head	Start Date	End Date	Donor

Scientific Fields

Main Field

Field:

Sub-Field:

Subject area:

Employment History

Current place(s) of employment

Workplace	Name of the work department	Position	Main responsibilities	Start Date

Scientific Productivity

Patents

Patent name	Issuing organization	Registration number	Year of Issue

Other products

Product Type	Registration number	Year of Issue

Article / Monograph / Manual

Type	Authors	Publication title	Source title	Year

Scholarships and awards

Scholarships/awards name	Issuer	Year of Issue

Participation in scientific events

Scientific event name	Title of the presentation	Event venue	Year

Productivity index

#	Citation index	h-index
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

EUGSP_19_

სარეგისტრაციო შიფრი

დანართი №6
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 13 მარტის N28 ბრძანებით

გენერირდება GMUS-ით

განცხადება

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსი

მოგახსენებთ, რომ გავეცანი „სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 8 ივნისის N89/ნ ბრძანებას, აგრეთვე, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 12 მარტის №28 ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს და ხელმოწერით ვაცხადებ თანხმობას, მონაწილეობა მივიღო საგრანტო კონკურსში ზემოთ ხსენებული დოკუმენტებით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით.

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) რეგისტრირებული პროექტისთვის წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ წარმოდგენილი პროექტი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.

ვეთანხმები, რომ ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან პროექტის შესაბამისობა, წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში, მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი პროექტი 2019 წლის „სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსში" მონაწილეობის მისაღებად.

პროექტის სახელწოდება	
კვლევითი ვიზიტის მასპინძელი დაწესებულება	
პროექტის ხანგრძლივობა (სემესტრი)	
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ევრო)	
თანადაფინანსება (ევრო)	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ევრო)	

ვიზიტიორი მკვლევარი

სახელი, გვარი	
აკადემიური ხარისხი/სტატუსი	
ტელეფონი	
ელ. ფოსტა	
ხელმოწერა	

დანართი №7
Annex 7
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 13 მარტის N28 ბრძანებით

კვლევის შედეგების ამსახველი მასალა **Deliverables**		
1	სტატიის გაამოქვეყნება/გამოქვეყნებაზე თანხმობის მიღება რეიტინგულ ჟურნალში	Article published/accepted for publication in peer-reviewed and cited journals
2	სტატიის გამოქვეყნება/გამოქვეყნებაზე თანხმობის მიღება არარეიტინგულ ჟურნალში	Article published/accepted for publication in non peer-reviewed journals
3	მონოგრაფია/წიგნი ელექტრონული	E-monograph/E-book
4	მონოგრაფია/წიგნი ნაბეჭდი	Monograph/Book printed
5	ლექსიკონი ელექტრონული	E-dictionary
6	ლექსიკონი ნაბეჭდი	Dictionary printed
7	სახელმძღვანელო ელექტრონული	E-textbook
8	სახელმძღვანელო ნაბეჭდი	Textbook printed
9	მეთოდური რეკომენდაცია	Guideline
10	საგანმანათლებლო/დამხმარე მასალები	Educational/supporting materials
11	დისერტაცია/სადოქტორო ნაშრომი	Dissertation/PhD thesis
12	საკონფერენციო მასალები/თეზისები/გამოცემები	Conference materials/proceedings/publications
13	პრეზენტაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე საზღვარგარეთ	Presentation at international scientific event abroad
14	პრეზენტაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე საქართველოში	Presentation at international scientific event in Georgia
15	საპატენტო განაცხადის წარდგენა საქართველოში	Patent application filed in Georgia
16	ვებ გვერდი	Web page
17	ფიზიკური კოლექციები	Physical collections
18	აუდიო/ვიდეო პროდუქტები	Audio/video products
19	მონაცემთა ბაზა	Database
20	სხვა შედეგი (დააკონკრეტეთ)	Other results (please, specify)